ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5849321

ნომერი: AR1884654

თარიღი : 07.03.2022

გაცემის თარიღი : 15.03.2022

გაცნობის თარიღი : 15.03.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ოთარ ხოფერია პ/ნ 01031004436
- თბილისი ს.კანდელაკის ქ. N 2 ბ. 24

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ოთარ ხოფერია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "გაბილისი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404541885
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე ღლონტი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024025633

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4792744
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 16.12.2019

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4792744
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 16.12.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილათქვენ მიერელექტრონულად ატვირთულიგანცხადება დამასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთშემდეგს:
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 57-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას.
აქედან გამომდინარე, ვინაიდან, სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამსახური ვერ განიხილავს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების საკითხს. საჭიროა მოითხოვოთ არქიტექტურული პროექტის ცვლილება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. დატებით საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი, დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითარი და საჭიროების შემთხვევაში, დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა, დამოწმებული სპეციალისტის (ექსპერტის) მიერ და ინფორმაცია შემსრულებლის (ექსპერტის) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.
ამასთან დამატებით განგიმარტავთ, რომ როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 04 მარტის N 17-01220631184 წერილით სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურსთვის გახდა ცობილი, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 16 დეკემბრის N4792744 ბრძანებით შეთანხმდა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა განშლის რეგისტრაცია და დარეგისტრირდა რამდენიმე დამოუკიდებელი ბინა, რაც წარმოადგენს ობიექტის ფუნქციის ცვლილებას და დაუშვებელია.
ასევე გაითვალისწინეთ, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2)-ში, რომელშიც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაუშვებელია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.